პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 28 მარტი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 67 (755) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

კვირას, 29 მარტს დილის 10 საათზე, მე-2 ქართულ ტერ. დივიზიის პოლიტგანყოფილების შენობაში (ევანგულოვის ქუჩა № 2 დანიშნულია თბილისის გარნიზონში მდგომ ყველა ქართულ ნაწილების

## სამხედრო კორესპონდენტთა თათბირი

დღის წესრიგი:

1. სამხკორთა ალმშენებლობის ახალი ამოცანები.
2. მოხსენება ადგილებიდან.
3. მოხსენება კედლის გაზეთზე.
4. მიმდინარე კითხვები.

დასწრება ყველა სამხკორისათვის სავალდებულოა.

მოხსენებას ადგილებიდან გააკეთებენ ლეგიონების პასუხის მგებელი სამხკორები.

გაზ. „წითელ-არმიელის“ რედაქცია.

## რაც შეიძლება მეტი დახნული და დათესილი მიწები.

გაზაფხული უკვე დადგა. ახლოვდება ხნა-თესვის დრო. მშრომელი გლეხი მალე შეუდგება მიწის დამუშავებას. ამ მომენტს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკისათვის. რამდენათ მეტი მწიები იქნება დამუშავებული იმდენათ მეტად გაიზრდება სახალხო მეურნეობა იმდენათ უფრო გამაგრდება თვით სოფელი და წაიწევს წინ აღორძინების გზაზე.

სუსხიანმა ზამთარმა და წარსულ მოუსავლობამ დიდათ დაზარალა სოფლის მეურნეობა, რის ანაზღაურებაც შეიძლება მხოლოდ ორმაგი, გაორკეცებული შრომით. ამიტომაც მშრომელ გლეხობამ ყოველგვარი ზომები უნდა იხმაროს, რომ წრეულს არ დარჩეს არც ერთი ვარგისი მიწის ნაჭერი დაუხნელი.

მართალია არა ჩვეულებრივმა ზამთარმა ბლომად გაუწყვიტა მუშა საქონელი, არც თესლეულობის საყოფი რაოდენობა აქვს მას, მაგრამ ამ მხრივ მას ყოველმხრივ დაეხმარება მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

უმთავრესად კი მიმდინარე ხვნა-თესვის კამპანიის ნაყოფიერად ჩატარება დამოკიდებულია თვით გლეხებისაგან. აქ მათ უნდა გამოიჩინონ სათანადო უნარი და ფხა, დაეხმარონ ერთმანეთს და საერთო ძალით უნდა დაამუშავონ ყველა ვარგისი მიწები.

გლეხებმა აგრეთვე დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ თვით თესლის ხარისხსაც.

ცუდი ხარისხის თესლით დათესილი ყანა არ იქნება ბარაქიანი. აუარება შრომა და ჯაფა დაიხარჯება, მოსავალი კი ცოტა იქნება. საჭიროა გადარჩეული, კარგი ხარისხის თესლის დათესვა. მაშინ დახარჯული ენერგია და გაწეული შრომაც ერთი ორად აენაზღაურება მიწის მშრომელს.

ერთი სიტყვით მომავალ სათეს კამპანიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც სასოფლო მეურნეობისათვის, ისე მთელი საბჭოთა კავშირის მეურნეობისათვის. ის ყოველ მიზეზ გარეშე ჩატარებულ უნდა იქნას ნაყოფიერად. როგორც ხელისუფლებამ, ისე თვით მშრომელ გლეხობამაც მთელი თავის ენერგიით და ძალღონით უნდა ჩაებას ამ საქმეში.

ჩვენ წითელ-არმიელებმაც აქტიურად უნდა გამოეხმაურონ ამ კამპანიას. მათ უნდა მისწერონ თავიანთ ოჯახებს, რომ ისინმა ე. ი. წითელ-არმიელების ოჯახებმა ერთად შეერთებულად დაამუშავონ მიწები და არ ჩამორჩენ სხვებს.

რაც შეიძლება მეტი დახნული და დათესილი მიწები. აი სოფლის მორიგი ამოცანა. თუ მას გლეხები შეასრულებენ, ამით ისინი გააუმჯობესებენ თავის ქონებრივ მდგომარეობას შეიმოსებიან, გააუმჯობესებენ თავის მეურნეობას და მის დასამუშავებელ იარაღებს და წესებს, ხელს შეუწყობენ მრეწველობის ზრდას და მთელ სახალხო მეურნეობის წინმსვლელობას.

ყოველივე ამით კი ისინი უფრო განამტკიცებენ მუშების და გლეხების ძალაუფლებას.

## კვლავ განაგრძობენ თავის შავ საქმეებს.

ლატვიის დედაქალაქში— რიგაში გაიხსნა ლატვიის, პოლონეთის და ესტონეთის გენერალურ შტაბების წარმომადგენელთა თათბირი. მასზე მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ფინეთის და რუმინეთის გენერალურ შტაბების ოფიცრებიც.

როგორც რადიო იტყობინება თათბირი დიდ საიდუმლოების ქვეშ სწარმოებს.

მაგრამ ჩვენთვის კი ამ თათბირის მიზანი და ინტერესები სავსებით ნათელია და არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენს. ყველა ეს სახელმწიფოების საბჭოთა რესპუბლიკების სასტიკი მტრებია. მთავარი და ძირითადი მიზეზი, რომელიც მათ აერთიანებს ჩვენს წინააღმდეგ არის სწორედ ეს სიძულვილი მუშურ-გლეხურ ქვეყნისადმი. დანარჩენში ისინი არც ისე დიდი მეგობრები არიან, პირიქით სიამოვნებით გამოჰკრიდენ ყელს ერთი მეორეს, რომ ამის საშუალება მისცათ.

და როდესაც ამ სახელმწიფოების უმაღლესი სამხედრო წარმომადგენლები იკრიბებიან და საიდუმლო თათბირს მართავენ, აშკარა და უდავოა რომ ეს უკანასკნელი სავსებით მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამ რიგად ჩვენი მტრები კვლავ ახმაურდენ, რაღაცას ჩხირკედლობენ და ახალ ხრიკებს აწყობენ. ისინი კვლავ ლამობენ გაერთიანებული ძალით ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებას.

მაგრამ სასტიკად სტყუვდებიან თუ ჰგონიათ რომ ჩვენ ვერაფერს ვერ ვამჩნევთ. საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა კარგად იციან მსხვილ თუ წვრილ ფეხა იმპერიალისტების მტაცებლური და შურიანი ბუნება. ამ ვაჟბატონებისაგან ყოველივე საზიზღრობას უნდა მოელოდე.

ამიტომაც საბჭოთა კავშირი არც ისე ძაბუნადაა და მოუმზადებელია, რომ ღირსეული პასუხი არ გასცეს მტრების ყოველგვარ ბოროტ განზრახვას.

საბჭოთა ხელისუფლება მტკიცედ ატარებს მშვიდობიანური პოლიტიკის ხაზს; მას სურს ნორმალური და კეთილ მეზობლური დამოკიდებულება იქონიოს ყველა სახელმწიფოებთან.

მაგრამ თუ მტაცებელი მეზობლები თავისას არ იშლიან და კვლავ ახალ თავდასხმებს ამზადებენ მუშურ-გლეხური ქვეყნის წინააღმდეგ, მაშინ ეს უკანასკნელიც მზადაა ღირსეული პასუხი გასცეს თავის მტრებს.

ამის გარანტიას მას წითელი არმია აძლევს.

რიგაში გამართული თათბირი იმის საუკეთესო მტკიცებაა, რომ ჩვენი მტრებს არ სძინავთ, რომ ისინი მუდამ ჩვენზე თავდასხმას ფიქრობენ.

ეს გარემოება კარგათ უნდა დაიმახსოვროს თითეულ წითელ-არმიელმა და შემდეგი დასკვნა უნდა გამოიტანოს;

უფრო მხნედ და მეტის ენერგიით შეუდგე სამხედრო და პოლიტიკურ სწავლას.

გააძლიერე დისციპლინა და მთელი შენი არსებით ეცადე წითელ-არმიის რიგების მეტ გამაგრებას და განმტკიცებას.

დეე! მტერმა კარგად იცოდეს, რომ წითელი არმია ძლიერია და მუდამ მზადაა მტკიცედ დაიცვას საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების ინტერესები და თავისუფლება.

—ე.

# ახალი რადიო-ამბები

## კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

### გერმანიის პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ.

(რუტ ფიშერის თანამოხსენება).

პლენუმის გაფართოებულ სხდომაზე 26 მარტს რუტ ფიშერმა გააკეთა თანამოხსენება გერმანიის პოლიტიკურ მდგომარეობისა და კომპარტიის ბოლშევიზაციის შესახებ.

გერმანიის დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაში მან დაახასიათა სამი მომენტი: რურის კრიზისის ლიკვიდაცია, დოუესის გეგმა და ვალიუტის გამტკიცება.

მან აღნიშნა ბურჟუაზიის გაკოტრება ეროვნულ და ეკონომიურ საკითხებში, შეეხო იმ ფაქტს თუ როგორ ჰქრება იმედები დოუესის გეგმაზე, რის დასამტკიცებელ მაგალითად მან მოიყვანა ამ ბოლო ხანებში მომხდარი რკინისგზელთა გაფიცვები.

„გლეხთა შორის მუშაობაში—განაცხადა მომხსენებელმა საკმაო შედეგებია მიღწეული. ჩატარებულ იქნა გლეხთა კონფერენციების მთელი რიგი. რაც შეეხება შინაპარტიულ მდგომარეობას, ჩვენ მოგვიხდება სხვა და სხვა გადახრათა გადალახვა.“

## მდგომარეობა საფრანგეთში.

(ამხ. ტრენის თანამოხსენება).

შემდეგ საფრანგეთის დელეგაციის სახელით თანამომხსენებელმა ტრენმა განაცხადა:

„საფრანგეთის ეკონომიურ კრიზისს განიცდის. პროლეტარიატმა ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლა თავი დემოკრატიულ-პაციფისტურ გავლენისაგან, მაგრამ მათაც საკმაოდ გაუცრუვდათ იმედები. მწვავდება ბრძოლა ფაშიზმისა და კომუნიზმს შორის. სოციალ—დემოკრატები მხარს უჭერენ ფაშისტებს კომუნისტებთან ბრძოლაში.

ასეთ პირობებში საფრანგეთის კომპარტიას მოუხდება დიდი ბრძოლა მარჯვენა გადახრების წინააღმდეგ, პარტიის გადახალისება ფაბრიკა ქარხნების უჯრედების პრინციპებზე და სწორი პოლიტიკის წარმოება გლეხთა და კოლონიალურ საკითხებში.

პარტიის წევრთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. უახლოესი მიზანია: დღევანდელ პარტიული მექანიზმის გაუმჯობესება, უჯრედების პოლიტაქტიურობის გაძლიერება, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება და სხვა.“

## საიდუმლო თათბირი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

პოლონეთ-ბალტიის სახელმწიფოთა კონფერენციის შედეგად, რიგაში დაიწყო ლატვიის, ესტონეთის და პოლონეთის გენერალურ შტაბების წარმომადგენელთა კონფერენცია. ნახევრად—ოფიციალურ მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე ფინეთისა და რუმინეთის გენერალურ შტაბების ოფიცრები.

თათბირი ფრიად საიდუმლოდ სწარმოებს. უეჭველია. თათბირის მიზანია შეერთებული მოქმედების გეგმის გამომუშავება იმ შემთხვევისთვის, თუ რომ ადგილი ექნება შეიარაღებულ კონფლიქტს საბჭოთა კავშირთან.

ჩამოთვლილ სახელმწიფოებიდან სამი პირველი თათბირის აქტიური მონაწილე და ინიციატორია.

ორი უკანასკნელი კეთილ—სასურველ თანაშემწის როლს თამაშობენ.

## საითაც ქარი დაუბერავს.

პოლონეთის პრესას მოჰყავს მოკლე შენიშვნები ლანცუცკის გასამართლების შესახებ.

პოლონეთის სოციალისტების გაზეთი „რაბოტნიკი“, რომელიც დღემდის არაფერს ამბობდა პროცესის შესახებ, სწერს: „მსაჯულთა აზრი, რომელიც ეკუთვნის მესაკუთრეთა კლასს, აშკარად ამტკიცებს, თუ როგორ ზიზღიურად მოითხოვს პროკურატურა დეპუტატების გაცემას, თუ როგორ სარგებლობს სეიმის რეაქცია ყოველგვარი სიყალბით, რომ თავიდან მოიშორონ პოლიტიკური მოწინააღმდეგენი.“

## აურ-ზაური იტალიის პარლამენტში.

თვე-ნახევრის ავადმყოფობის შემდეგ მუსოლინი მივიდა იტალიის პარლამენტში. ფაშისტებმა აღფრთოვანებით მიიღეს ის და იმღერეს ფაშისტური ჰიმნი.

კომუნისტებმა მათ უპასუხეს ინტერნაციონალის სიმღერით. ფაშისტები ეკვეთენ კომუნისტებს.

აურ-ზაურში კომუნისტ დამენმა დაჰკარგა სათვალეები, რითაც ისარგებლეს ფაშისტებმა და გააძევეს ის დარბაზიდან. თავმჯდომარემ ყურადღება არ მიაქცია უწესრიგობას და მისალმების სიტყვით მიმართა მუსოლინს.

ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭოს ყველა წევრთა საყურადღებოთ

ცხადდება, რომ 26 მარტიდან იწყება დროებითი მანდატების მუდმივი მანდატებზე შეცვლა და საბჭოს სექციებში ჩაწერა.

მანდატების მიღება და სექციებში ჩაწერის წესი, როგორც საბჭოს წევრებისთვის, აგრეთვე საქარხნო საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტებისა, პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობებისა, ლენინელთა ახალგაზრდა კომკავშირის საქართველოში, მ/გ ინსპექციის, ქალთა განყოფილებისა და და სხვა მშრომელთა (იხ. დებულება) წარმომადგენელთათვის შემდეგია:

**საბჭოს წევრების და წარმომადგენლებისათვის**

**I რაიონიდან.**
**26 და 27 მარტს.**
**მე-2 რე რაიონიდან.**
**20 და 30 მარტს.**
**მე-3-მე რაიონიდან.**
**31 მარტს და 1 აპრილს.**
**მე-4-ხე რაიონიდან.**
**2 და 3 აპრილს.**

საბჭოს წევრებს მანდადატები მიეცემათ აღმასკომის პრეზიდიუმის კანცელარიაში (ოთახი № 4) ნაშუადღევის 4 საათიდან საღამოს 9 საათამდე. აქვე სწარმოებს სექციებში ჩაწერა.

**სექციებში ჩაწერა ყველა წევრთათვის სავალდებულოა.**

**აღმასკომის პრეზიდიუმი.**


## საარჩევნო კამპანია გერმანიაში.

### ამხ. ტელმანის პოპულიარობა.

27 მარტს, ბერლინის საარჩევნო კრებაზე გამოვა კომპარტიის კანდიდატი პრეზიდენტობაზე—ტელმანი.

საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ტელმანი გამოვიდა სულ 24 ქალაქში. კრებები ყოველგან წარმატებით ჩატარდა.

განაუში და ჰესენში კრებები აკრძალულ იქნა ადგილობრივ ძალთა მიერ, რის შემდეგ კრების 3.000 მონაწილეგადმართა ქვეითად პრუსიის საზღვარზე, სადაც სანაპირო რაიონში ჩაატარეს ღია კრება მინდორზე.

## პოლონეთი კიჯკლაობს.

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მოსკოვში არსებულ ლიტოველთა საელჩოდან მიიღო ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ 16 მარტს საზღვარზე მდგომ ლიტოველთა რაზმს, შორვინდტის ახლო, მოულოდნელად თავს დაესხა პოლონეთის მოსაზღვრე რაზმი, 300 კაცისაგან შემდგარი.

პოლონელებმა შესძლეს სადემარკაციო ხაზის დაკავება, მაგრამ მალე ისინი უკუგდებულ იქნენ და სადემარკაციო ხაზი კვლავ ლიტოველებმა დაიკავეს. პოლონელები დარჩენ თავის ძველ ადგილებზე ლიტოველებს უკან დაუბრუნეს ტყვედ წაყვანილი სამი კაცი.

## გაფიცვები ლონდონში.

ლონდონში გაიფიცა 10.000 მუშა ქაღალდის საწარმოებში. გაფიცულთ მხარს უჭერს 5.000 მკინძავი, რომელიც ამავე კავშირს ეკუთვნიან.

უთანხმოება აღიძრა 5 მუშის ხელფასის შესახებ, რომელნიც მუშაობდენ ინგლისში ახლად შემოღებულ საკინძავ მანქანებზე.

## უბედური შემთხვევა ჰამბურგის გემზე.

ჰამბურგში გემზე მომხდარ აფეთქების დროს დაიღუპა 11 კაცი. გემი სულ განადგურებულია. აფეთქება ისეთი ძლიერი იყო, რომ ერთ-ერთი მსხვერპლთაგანი ჰაერში აიტანა 25 მეტრის სიმაღლეზე და ერთი მძიმე ლუზათაგანი გადაგდებულ იქნა 200 მეტრზე.

## პარტიზანული თავდასხმა.

ბარანოვიჩის ახლო, სადგ. ზახოვიშჩეს თავს დაესხენ პარტიზანები, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს სადგური; მათ თან წაიღეს სალარო და მიიმალენ. მძიმედ სცემეს ერთ პოლიციელს.

# დაღუპულ ამხანაგების ხსოვნას

## ინგლისის პროფკავშირთა კონგრესის მთავარ საბჭოს დეპეშა

საბჭოთა პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ტომსკიმ მიიღო ლონდონიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„ბრიტანეთის პროფკავშირთა კონგრესის მთავარი საბჭო ღრმა თანაგრძნობას უცხადებს საბჭოთა კავშირის მთავრობასა და მუშებს ნარიმანოვის გარდაცვალებისა და მიასნიკოვის მოგილევსკის და ათარბეგოვის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ფრედ ბრამლი“

## ამხ. ტროცკის დეპეშა.

საბჭოთა კავშირის ცაკმა მიიღო ამხ. ტროცკისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„ღრმად დამწუხრებული ვარ აღმოსავლეთის ერების განმანთავისუფლებელ ბრძოლის მთავარი ხელმძღვანელის—ნარიმანოვის გარდაცვალების გამო.“

## სამგლოვიარო სხდომა ბაქოში.

შესდგა ბაქოს საბჭოს, ადერბეიჯანის ცაკის, სახკომსაბჭოს, ცეკას, მუშების და არმიის ორგანიზაციების შეერთებული სამგლოვიარო სხდომა ამხ. ამხ. მიასნიკოვის, მოგილევსკის და ათარბეგოვის ხსოვნის აღსანიშნავად. სხდომას დაესწრნენ ტფილისიდან დაბრუნებული დელეგაციები და სტუმრები სომხეთიდან და საქართველოდან.

სხდომამ პატივი სცა დაღუპულთა ხსოვნას ადგომით. სიტყვები წარმოსთქვეს ბაქოს საბჭოს თავმჯდომარემ კონუშკინმა, ადერბეიჯანის სახკომსაბჭოდან—სახკომსაბჭოს მოადგილემ ბაგიროვმა, ამიერ-კავკასიის მთავრობისაგან—ამხ. სტურუამ, სომხეთის მთავრობისაგან—იოანისიანმა, ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტისაგან—ნაზარეტიანმა, ადერბეიჯანის ცენტრალური კომიტეტიდან—კიროვმა და სხვებმა, რომლებმაც ვრცლად დაახასიათეს დაღუპულ ამხანაგების მუშაობა და რევოლიუციონური დამსახურება მშრომელთა წინაშე.

## სომხეთი სამგლოვიარო ძაძებში.

25 მარტმა დაგვანახა ის მჭიდრო კავშირი, რომელიც არსებობდა სომხეთის მუშურ-გლეხურ მასებსა და ტრაგიკულად დაღუპულ ამხანაგების მოღვაწეობას შორის. აღნიშნულ დღეს სომხეთის რესპუბლიკის ყველა ქალაქებში, ერევანში, ლენინაკანში, ნოვო-ბაიაზეთში, ალავერდში და სხვა რაიონებში გაიმართა სამგლოვიარო სხდომები. სხდომებზე გამოსულმა ამხანაგებმა ვრცლად დაახასიათეს განსვენებულ ამხანაგების ცხოვრება და მოღვაწეობა. მთელი სახელმწიფო დაწესებულებები, ფაბრიკები და ქარხნები მორთული იყო სამგლოვიარო ძაძებით.

ქარხნების საყვირები გულგამგმირავი ღრიალით აუწყებდენ მშრომელებს განსვენებულ გმირთა ცხედრების სამარეში ჩაშვებას.

## ეგვიპტის პარლამენტის დაშლის გარშემო.

### საუბარი ზაგლულ-ფაშასთან.

ჟურნალისტებთან საუბარში ზაგლულ—ფაშამ განაცხადა: „მიუხედავად მრავალი ხელის შემშლელ მიზეზებისა არჩევნებზე.- მე მაინც ბრწყინვალედ გავიმარჯვე.

მთავრობამ ახალი კაბინეტის შედგენაზე უპასუხა პარლამენტის დაშლით, მაგრამ ეს წარმოადგენს კონსტიტუციის დაშლას, ვინაიდან არ შეიძლება პარლამენტის დაშლა ორჯერ ზედი—ზედ ერთი და იმავე მიზეზების გამო.

ეგვიპტის ხალხს არა აქვს უკვე კონსტიტუცია, რაიც ჰქმნის სერიოზულ მდგომარეობას საქმეში.

მე არავითარი სურვილი არა მაქვს გავხდე პრემიერი, მაგრამ მდგომარეობა აშკარად მოითხოვდა, რომ ჩემთვის ეკითხათ რჩევა—დარიგება“.

## ძმური ხელი.

12 მარტს რკინისგზელთა ცეკამ საბერძნეთის მებრძოლ რევოლიუციონურ რკინისგზელებს გაუგზავნა 5.000 მანეთი.

# სამხედრო საქმე

### ტერიტორიალური (ლაშქროსნული) ნაწილების შინაგანი თვისებანი.

VI

ამა თუ იმ სისტემის ჯარების დაფასების დროს ჩვენ მხედველობაში უნდა გვქონდეს თუ რამდენათ ძლიერია ის, როგორც რიცხვობრივ ისე თავის შინაგანი თვისებებით,—დისციპლინით, შეკავშირებით, სწავლა-მომზადებით და თავის დროზე მოქმედებისთვის მზათ ყოფნით, თუ რამდენათ საიმედოა მთავრობის ხელში და რამდენათ შემავიწროვებელია მცხოვრებლებთათვის.

რაოდენობის მხრივ ჩვენ მრავალი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ლაშქრისნული სისტემა რიცხვით ბევრჯერ მეტია, ვიდრე ეს მოსახერხებელია სხვა სისტემის დროს. ეს იმიტომ რომ ლაშქროსნული სისტემა თავის მოცულობით ბევრჯერ დიდია, ვიდრე მუდმივი ჯარის სისტემა.

ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს შესაძლებელია იარაღის ქვეშ იყოლიოთ მთელი კონტიგენტი საომრათ ვარგისი მცხოვრებლებისა. მათი ომში გაყვანა შესაძლებელია როგორც ერთბაშათ, ისე ნაწილობრივ თანდათანობით საჭიროების და მიხედვით.

ბევრს ლაპარაკობენ ლაშქროსნულ სისტემის მოწინააღმდეგენი მის შინაგან თვისების უარყოფითი მხარეებზე. სხვათა შორის აღნიშნავენ, რომ ასეთ ნაწილებში არ იქნება შეკავშირება, როგორც ეს არსებობს მუდმივ ჯარების ერთეულებშიო, ვინაიდან იქ მებრძოლები მოკლე ხნით არიან თავშეყრილები სამეცადინოთო.

მაგრამ აქ ავიწყდებათ ის, რომ ერთეულები სდგებიან და ივსებიან ერთ რომელიმე კუთხიდან, რომ ასეთ ერთეულებში მოხვდებიან ერთ და იმავე ასაკის ხალხი. ეს ორი გარემოება,- ერთი მხრივ მეზობლობა და მეორეს მხრივ ერთ წლევანება უკვე საკმაო საბუთია იმისათვის, რომ ლაშქროსნული ერთეულებში განმტკიცებული იქმნას მჭიდრო შეკავშირება.

მოწინააღმდეგებს ეჭვი შეაქვთ აგრეთვე ლაშქროსნულ სისტემის ერთეულებში დისციპლინის შექმნის შესაძლებლობაში. ისინი ამბობენ, რომ, ასეთ ერთეულებში უმეტესათ ამხანაგობა ხელმძღვანელი... ერთეულებში უმეტესათ აღფრთოვანება იქნება გამეფებული და ვინაიდან უკანასკნელი დროებითი მოვლენაა, დისციპლინის შექმნა შეუძლებელია.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ აღფრთოვანება სრულებით არ სპობს დისციპლინას, რომ როგორც აღფრთოვანება, ისე დისციპლინას შეუძლიან იარსებონ ერთ და იმავე დროს და ერთი მეორე განამტკიცონ. იქ, სადაც აღფრთოვანება და შეგნებაა, დისციპლინაც არის. და თუ ამბობენ, რომ აღფრთოვანება დროებითია—ეს იმიტომ, რომ ძველათ ასეთი აღფრთოვანება სრულებით არ იყო აგებული შეგნებაზე და როგორც ასეთი, ჩქარა ჰქრებოდა.

რაც შეეხება ლაშქროსნულ ნაწილების საომრათ მუდამ ჟამს მზათ ყოფნას, მართალია, აქ ჩვენ არ გვაქვს დიდი გამოცდილება.

ამ შემთხვევაში თუ მივმართავთ ჩვენ ყოფილ ჩერნოგორიის ჯარების ისტორიას, დავინახავთ, რომ 1912 წელს, როდესაც ჩერნოგორიამ სათათრეთს ომი გამოუცხადა 18 სექტემბერს, ყოველგვარი განკარგულებანი ხდებოდა იმ გამოანგარიშებით, რომ 23 სექტემბერს უკვე შეძლებულიყო საბრძოლო მოქმედების დაწყება.

მართლადაც ეს ასედაც მოხდა, მხოლოდ ცოტა დააგვიანა არტილერიის ნაწილებმა, ვინაიდან უკანასკნელებს ცხენები უნდა მიეღოთ მცხოვრებლებიდან. მიუხედავათ ამისა პირველი სროლა გაისმა არა 6 საათზე, არამედ მხოლოდ 7 საათზე დანიშნულ დღეს.

აქ ერთი შეიძლება ითქვას, რომ ჩერნოგორიის ტერიტორია ძალიან პატარაა და მისი ჯარიც ძლიერ ცოტაა შედარებით რუსეთის ტერიტორიასთან და მის ჯართან, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა მეტი დაფიქრებული ორგანიზაცია და მაშინ ჩვენ მივიღებთ მუდმივი ჯარების არა ნაკლებ ერთეულებს.

ლაშქროსნულ ჯარების „საიმედოობის“ შესახებ უნდა ითქვას, რომ ეს სავსებით დამოკიდებულია იმ პოლიტიკურ მდგომარეობაზე, რომელიც გამეფებული იქნება „როგორც მცხოვრებთა, ისე მთავრობასა და ჯარების შორის. ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ განსაზღვრულ პოლიტიკურ პირობებში 1917 წელში მუდმივი ჯარების ერთეულებიც არ აღმოჩნდნენ საიმედოები მთავრობის ხელში.

განი.

## ერევანის რკინისგზელთა შუამდგომლობა.

ერევანის რკინისგზელთა კრებამ დაადგინა აღძრულ იქნას შუამდგომლობა, რათა ამიერ-კავკასიის რკინის გზის მეჩვიდმეტე რაიონს ეწოდოს მიასნიკოვის სახელობის რაიონი.

# პარტიული ცხოვრება.

## შეცდომის გასწორება

გაზ. „წითელ არმიელის“ გუშინდელ № 66 ამხ. ტიგიშვილის წერილში „კიდევ პარტიაში მიღების შესახებ“ გაიპარა შეცდომა. წერილი ბოლოვდება შემდეგი სიტყვებით: „ასეთივე წესით უნდა ხდებოდეს ა. კ. კ. წევრებად მიღება“.

**უ ნ დ ა  ი ყ ო ს:**

**„ასეთივე წესით უნდა ხდებოდეს ა. კ. კ. წევრების პარტიაში წევრად გადარიცხვა“.**

---

## ჩვენი წრეები.

ქართულ მეთაურთა სკოლაში საზამთრო სეზონის განმავლობაში პარტ-აღზრდის და პოლიტ-განვითარების საქმეს ბიურო კოლექტივი დიდ ყურადღებას აქცევდა და შედეგებიც კარგი მივიღეთ. გარდა იმისა რომ სკოლაში ყველა საგნებს ზედმიწევნით კარგად გავდივართ, კიდევ გვაქვს დაარსებული სხვა და სხვა წრეები: პარტ-წრე, ლიტერატურული წრე, ტაქტიკის წრე და სხვა.

პარტ-წრეში მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ერთხელ სისტემატიურად.

ვინაიდან სკოლაში პარტიის წევრები, კანდიდატები და ა. ლ. კ. კ. წევრებიც ბლომად არიან, და ყველას სურს პარტწრეში მუშაობა, წრე გაიყო ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს ხელმძღვანელობს ამხ. რამიშვილი. მეორეს-ამხ. აროშიძე.

წრეში უნდა გაგვეარა შემდეგი პროგრამა:

კომუნისტური პარტიის პროგრამა, პარტიის წესდება და ჩვენი პარტიის ისტორია.

ნაწილობრივ მეცადინეობის დროს ირჩეოდა თვით მეცადინეობის დროს წამოჭრილი საინტერესო საკითხები.

ამ ბოლო ხანებამდე მეცადინეობა სწარმოებდა ლექციური ხასიათით. პროგრამა თითქმის გავიარეთ-ეხლა შემოღებულია თვით მსმენელებისაგან მოხსენების გაკეთება განვლილ გაკვეთილებიდან.

წრის ხელმძღვანელები ენერგიულად ეკიდებიან მათზე დავალებულ საქმის შესრულებას.

სხვა წრეებშიაც სისტემატიურად მიმდინარეობს მეცადინეობა.

პარტ-კორი ჯ. შ.

## სამხედრო პოლიტსკოლის კომუჯრედის ცხოვრებიდან.

20 მარტს კომუჯრედის ღია სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ამხ. ხუციშვილის საკავშირო ცაკის მესამე სესიის მუშაობის შედეგებზე. ამხანაგი დაწვრილებით შეეხო სესიის მუშაობას და იმ ზომებს, რომელიც მიიღო სესიამ გლეხობის მეურნეობის ასაყვავებლად. მოხსენების შემდეგ კურსანტებმა მისცეს მომხსენებელს მრავალი შეკითხვები.

შემდეგ კომუჯრედის პასუხისმგებელ მდივანმა ამხ. ჩოგუამ გააკეთა მოხსენება ბიუროს სამი თვის განმავლობაში მუშაობის შესახებ. ამხ. დაწვრილებით აღნიშნა ბიუროს მიღწევანი და დეფექტები. ახლოდ არჩეულ ბიუროში შევიდნენ ამხ. იმნაიშვილი, მითაიშვილი და თათაროვი.

კრებამ მოისმინა მოხსენებები პარტკორის და სამხკორის თავის მუშაობის შესახებ. მათ მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. კრებამ სამხკორათ აირჩია ამხ. თავართქილაძე პარტკორათ ამხ. ხუციშვილი.

დასასრულს კრებამ უსურვა ახლად არჩეულ ბიუროს მეტი ენერგიულობა თავის საქმიანობაში.

პარტკორი ე ხუციშვილი.

## ჩვენი საქმიანობა პარტ-განათლების დარგში.

6-სე ლეგიონის ძირითად შემადგენლობაში მყოფი პარტ-ამხანაგები საერთო საქმიანობასთან ერთად ძლიერ დაინტერესებული არიან პარტ-განათლებითაც. აღრიცხვაზე, აყვანილ ცვალებად შემადგენლობის სათანადოთ მომზადების მიზნით, ლეგიონში დიდი ხანი არ არის რაც დაარსებული იქნა **პარტ-სკოლა**, სადაც ჩაბმული არის პარტ-ამხანაგების სრული შემადგენლობა. მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ორჯერ, ორ-ორი საათი. სკოლამ სამოქმედო გეგმის მიხედვით პირველ რიგში მოკიდა ხელი პარტიის ისტორიის დაწვრილებით შესწავლას პროგრამა დაყოფილ იქნა თემებათ.

თითეული თემის გაშუქება და გადამუშავება ხდება კოლექტიური მოხსენებებითა და ბაასის სახით. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია წითელ არმიელთა მოხსენებანი, რომლებიც მეტ ყურადღებას იპყრობენ. იმედია ასეთი კოლექტიური—მონდომებული საქმიანობით უახლოეს ხანებში მივაღწევთ დასახულ მიზანს და შევსძლებთ ჩვენი გეგმის განხორციელებას.

**გ. ლორთქიფანიძე.**




## მოგვეცით საათი.

რამოდენიმე თვე არის, რაც საარტილერიო ლეგიონის საყარაულო შენობაში ჰკიდია ერთი მოშლილი საათი, რომლის შეცვლას (ან შეკეთებას მაინც) არაფერი ეშველა. ამგარემოებას ყურადღებას არ აქცევს არც ჩვენი ლეგიონი და არც რუსების მძიმე დივიზიონი (საყარაულო შენობა ორივე ნაწილს ეკუთვნის.)

ეს მოვლენა დიდ არევ-დარევას იწვევს ნაწილში, რადგან ყოველ ყარაულის უფროსს არ აქვს საკუთარი საათი და ვარაუდით გუშაგების გამოცვლა კი ძალზე უხერხულია.

ყარაულის უფროსს თითქმის ყოველთვის უხდება სირბილი ან მორიგე მეთაურთან ან ყაზარმებში დროს გასაგებათ, და ამ ხნის განმავლობაში გუშაგები დგანან თავის საგუშაგოებზე ზედმეტ დროს.

დროა ბოლო მოეღოს ამ მოვლენას და საყარაულოში მოგვეცეს ერთი საათი.

სამხკორი ლ—ო.

## ცხენოსანი ლეგიონის კლუბს სჭირდება.

უკვე კარგი ხანია მას შემდეგ, რაც ჩვენი ლეგიონის კლუბს დასჩემდა მიუტევებელი უმოქმედობა.

წარმოდგენები თითქმის აღარც კი იდგმება, კლუბს არა აქვს პლაკატები და სხვა საჭირო მორთულობანი.

მაგრამ რაც უმთავრესია-კლუბში არ არის დაცული წესრიგი და სისუფთავე. რაც გასაკეთებელია არ კეთდება თავის დროზე. თუ ოდესმე გვეღირსა ლეგიონს და დაიდგა წარმოდგენა, კლუბის დარბაზში მფოფ ხალხზე მეტი—ყოველთვისაა სცენაზე, რაც საშინელ დამაყრუებელ ხმაურობას იწვევს.

18 მარტისთვის მაგალითად კლუბის მოსაწყობად არაფერი გაკეთებულა. კამპანიის ჩასატარებლად საჭირო იყო პლაკატები და მეტი მოწყობილობა მაგრამ, ასეთები კლუბში არ ყოფილა.

კედლის გაზეთები გაუკრავთ კლუბში, რაც ფართო მასისათვის მიუწდომელია.

ლენინის კუთხეებისათვის არც ერთი ლოზუნგი არ მოუწოდებია ჩვენს კლუბს ეს რამდენიმე ხანია. კლუბს ორი უფროსი ყავს, მაგრამ ერთის საქმე არ კეთდება.

საჭიროა ყურადღება და მეტი პასუხისმგებლობა თავის მოვალეობაში, რაც არც ერთ წუთს არ უნდა ავიწყდებოდეს კლუბის უფროსებს.

სამხკორი დ—შვილი.

## ჩვენი კოოპერატივების გარშემო.

### ყველაზე უფრო საჭირბოროტო საკითხი.

ამას წინეთ შესდგა მე-3-მე ქ. მსროლელ ლეგიონის უფ-პოლიტ-შემადგენლობის საერთო კრება. დღის წესრიგში სხვათა შორის იყო ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, კოოპერაციისა, და „კრუგოვაია პარუკას“ შესახებ, რომელიც ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ გააუქმა.

როგორც გამოირკვა „კრუგოვაია პარუკას“ ისეთი მდგომარეობა შეუქნია, რომ ამხანაგების მთელ რიგს იმდენი ნისია გაუტანია, რაც მათ ჯამაგირს არ შეეძლო გაესტუმრებია. ყოფილა ისეთი შემთხვევაც რომ დაუთხოვიათ რომელიმე ამხანაგი და მისი ვალი მთელ შემადგენლობას დასწოლია თავზე გადასახდელად, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს მათში.

დღეს ჩვენ ნისიათ არავინ არაფერს გვაძლევს. თუ სხვა კოოპერატივებში არსებობს სამთვიანი კრედიტი და პასუხის მგებელია ის ვინც წაიღებს ნისიას, რატომ არ შეიძლება სამხედრო კოოპერატივმა გაუწიოს ამას ანგარიში?

ჩვენი ამხანაგების მთელი რივი არიან კოოპერატივის წევრები, მაგრამ გაჭირვების დროს ასეთ მდგომარეობას ის ვერ იყენებს, რადგან არავინ ენდობა (თუ „კრუგოვაია პორუკა“ არა) ამ გარემოებამ შესაძლებელია ისეთი მდგომარეობა შექმნას, რომ ბევრმა ამხანაგმა უარი განაცხადონ კოოპერატივის წევრობაზე, რადგან თავის გაჭირვების დროს მისით ვერ სარგებლობენ.

საჭიროა რათა ამ საკითხის შესახებ—იქონიონ მსჯელობა კოოპერატივის მთავარი ორგანოებმა და ანგარიში გაუწიონ ლეგიონის შემადგენლობის ყოფა ცხოვრებას. ეს მით უმეტეს აუცილებელია, რადგან ჯამაგირებს აგვიანდება.

ამიტომ უფულო ამხანაგისათვის, პირველი მოთხოვნილების საგნებზე მაინც იქნეს დაშვებული კრედიტი, მხოლოდ წევრის—თვით—პასუხის მგებლობის ქვეშ.

ს. გეგია.

---

## მოუვლელი იარაღი.

—„კაცო რა უბედურებაა, თან გადაგვატანეს ამ თოფების წმენდას. ყოველ ხმარების შემდეგ დაუჯექი შენ იმ საველანეს და სწმინდე. ხომ გავწმინდე შაბათს, დღეს კიდევ მისროლაზედ მქონდა“. შესჩივლა ამხანაგს მიშამ და ორნივე ყაზარმის ეზოდან გამოვიდნენ.

— მიკვირს მიშა შენი საქმე — უპასუხა ანდრიამ—იმათ, რაც უნდათ ის ილაპარაკონ. ჩვენ ხომ გამოვიპარეთ ყაზარმიდან და იმათ სწმინდონ თოფები. ეხლა წავიდეთ სადგურში და ვისეირნოთ. დღეს მაინც ჩვენს კლუბში კინო არის, აშოკითხვაც არ იქნება. საქმე გაჩარხულია“... და მიშა და ანდრო გაემართენ რკ ნის გზის სადგურისაკენ.

—

— როგორ უხასიათოთ სწმენდ გიგო თოფს, ხომ კარგი თოფი შეგხვდა?

გამოეხმაურა გიგოს კოტე.

— ეჰ, დალახვროს ეშმაკმა. კაცს, რომ იღბალი არ ექნება ის არის მეტი არაფერი. ზარმაც გიგას ისეთი თოფი შეხვდა, რომ მწყობრის თავმა ხუთნივე ცენტრში მოარტყა. ის მაწუხებს, რომ ის იმას მოუვლელობით გააფუჭებს. ჩემი თოფიც კარგია მაგრამ არა ისეთი. შენი როგორია? ჰკითხა ბოლოს გიგომ.

— რა უშავს კარგია. საერთოდ ახალი თოფები ყველანი კარგები არიან, მაგრამ უბედურება ის არის, რომ სულ ხელში უნდა გეჭიროს ძალიან კარგი მოვლა უნდა. უპასუხა კოტემ და საწმენდს ჩვარი გამოუცვალა, ლულის სადები გაუსწორა და მხიარული ღიღინით სუფთა ჩვარ დახვეული საწმენდი ლულაში ჩაუშვა.

—მოვლა უნდა და მეც მოუვლი ჯერ კიდევ გამოსადეგია ბურჟუაზიულ მტაცებლებისაგან თავდასაფარავად—და საწმენდი ლულიდან ამოიღო. ამოსულ სუფთა ჩვარს შეეტყო, რომ ლულა უკვე გამოწმენდილია; კიდევ კარგათ გასინჯა და შესამოწმებლად მეთაურს მიუტანა. მეთაურმა მოუწონა. კმაყოფილი მიშა სახე გაბრწყინვებული დაბრუნდა ისევ, საკეტის ყველა ნაწილებს წაუსვა ზეთი, თოფი ააწყო და თავის ადგილას მიაყუდა.

—

ახალ გაზაფხულის მხურვალე მზემ შეაშუქა თავისი ბრწყინვალე სხივები ყაზარმის ფანჯრებში და მძინარ წითელ-არმიელებს სახეზედ ცელქობა დაუწყო.

დინგ, დინგ, მძიმედ დაჰკრა ქალაქის საათმა ექვსი. თითქოს ამ წუთს ელოდაო ტატატაააა, ტატატაააა გაისმა ადგომის ნიშანი. „ადექით“! მიეშველა მებუკეს ასეულის დღიური და მორიგე და გაღვიძებული წითელ-არმიელები სწრაფად წამოხტენ საწოლებიდან.

— ის ვინ არის, რომ არ დგება გაიღვიძეთ ამხანაგებო—და თან მძინარ მიშას საწოლს მიახლოვდა მორიგე. ის ვერც მებუკის საყვირს და ვერც დღიურის ძახილს ვერ გაეღვიძებია უძილობისაგან დასიებულ თვალებში ჩასციცინებდა მზის სხივები და ნერვებს ულიზიანებდა, ის გვიან დაბრუნდა ყაზარმაში.

— ამხანაგო, ამხანაგო გაიღვიძე ჩქარა დანარჩენებმა უკვე ჩაიცვეს ჩქარა გაიღვიძე.

და რამოდენიმე წუთში პირდაბანილი წითელ-არმიელები იდგენ ასეულში ორ მწკრივად დილის ამოკითხვისათვის.

— ასეულო სმენააა!—და შემოსული ასეულის უფროსი მიესალმა წითელ-არმიელებს.

— ნება მომეცით ჩავდგე წყობილებაში!“ სთხოვა ასეულის უფროსს მიშამ. უფროსმა ნება მისცა და დაგვიანებისათვის სამი რიგს გარეშით დასაჯა.

—

— დღეს ამხანაგებო გავივლით სროლის პირველ ვარჯიშს. სროლა გექნებათ ას ნაბიჯზედ სადგნობით 5 ვაზნით.

გამოუცხადა ასეულის უფროსმა წითელ-არმიელებს. ყველამ წამოიღეთ თოფის საწმენდი მოწყობილება და ჩვარი.

საუზმის მიღების შემდეგ ასეული სიმღერით გაემართა საგარნიზონო სასროლ ველისაკენ.

დაიწყო სროლა. ხუთი უკვე ისვრის. ხუთი რიგში სდგას და მეთაური სროლის წესებს უხსნის. მოვიდა მიშას და ანდროს რიგიც. აი უკვე დაიწყეს სროლაც.

მებუკემ სროლის გათავების ნიშანი მისცა და ასეულის უფროსი მსროლელებით გაემართა მიზნებისაკენ მორტყმების გასასინჯათ. გასინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მიშას და ანდროს ვერც ერთი ტყვიით მიზანში ვერ მოერტყა. იარიღის წიგნის ჩვენებით ორთავე თოფები საუკეთესო მსროლელებია. მიზეზის გასაგებად თითონ ასეულის უფროსმა ესროლა ორთავე თოფებიდან, მაგრამ მიზანს ახლოსაც ვერ გააკარა.

ბოლოს ასეულის უფროსმა ბრძანა ორთავე თოფები კარგათ გაეწმინდათ და მისთვის ეჩვენებინათ. აი ეხლა კი გაიგეს მიზეზი. ჟანგს ლულის ღლუები სრულიად შეეჭამა და ლულის ღრუ სრულიად საჩიტე თოფს დამსგავსებოდა. გაბრაზებული ასეულის უფროსი მიუბრუნდა წითელ-არმიელებს და კითხა,—რა სასჯელის ღირსია თქვენი ეს ორი ამხანაგი, რომლებმაც თავიანთი დაუდევრობით და სიზარმაცით სახაზინო ნივთი ასე გააფუჭეს-ო?

შ. თელია.

## ჩვენი სამკითხველო.

მეოთხე საგაუბიცო ბატარეიაში გვაქვს მშვენივრად მოწყობილი სამკითხველო. წითელ-არმიელები ძლიერ ეტანებიან მას. ყოველთვის სავსეა სამკითხველო მკითხველ არმიელებით. გულმოდგინეთ კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს და სხვა ლიტერატურას.

ხშირად გაიგონებთ არმიელებში—ისწავლეთ ბიჭებო, ისწავლეთ, თორემ, ცვადო შვებულებაში, რომ დავბრუნდებით თუ არაფერი გვეცოდინა სად უნდა გამოვყოთ თავი სირცხვილით, რას გვეტყვიან? სად იყავით, რას აკეთებდი ამდენ ხანს არმიაში? ალბად ზარმაცობდიო“.

საჭიროა ჩვენმა სამკითხველოს გამგემ ყურადღება მიაქციოს ერთ გარემოებას, ახალ გამოცემებს რაღაც აგვიანდება თავის დროზე არ მოდის სამკითხველოში, რაც მოწესრიგებული უნდა იქნეს.

განსაკუთრებით აუცილებელია ახალგაზრდა ლენინელისა და სხვა ასეთი ბროშურების შეძენა.

წ. არმ. გრ. ბარათაშვილი.

## სამხედრო-პოლიტიკურ სკოლის ცხოვრებიდან.

მოახლოვდა სკოლის უფროსი კურსის გამოშვების დრო. მალე კურსანტები დასტოვებენ სკოლას და შეუდგებიან მძიმე და პასუხის საგებ მუშაობას: წითელ არმიელების აღზრდას.

ჩვენ კურსანტებს ეს კარგათ ჰქონდათ შეგნებული თავიდანვე და ენერგიულად იძენდნენ ცოდნას, რომელიც მათ გამოადგებოდათ მომავალ მუშაობაში.

დილიდან საღ ომდის გახოველებული მუშაობაა სკოლაში.

აი ზარმა ჩამოჰკრა 8, კურსანტები მიეშურებიან სასკოლო ოთახში. იქ ერთი ამხანაგი ატარებს სანიმუშო გაკვეთილს 1-ლ ლეგიონის წითელ-არმიელების დასწრებით. სხვები ყურს უგდებენ და იწერენ წიგნაკებში სხვა და სხვა შენიშვნებს.

გაკვეთილი გათავდა, შეუდგნენ მის გარჩევას, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების აღნუსხვას. უსწორებენ შეცდომებს, აძლევენ დარიგებას.

გაკვეთილი გარჩეულია, მაგრამ კამათი დიდხანს გრძელდება.

საღამოს ჟამს სკოლა მოგვაგონებს ფუტკრების სკას. ისმის ხმადაბალი ჟრიამული. აგერ ერთი კურსანტი მოჯდომია მაგიდას და თავ—დავიწყებით ჩასცქერებია რაღაც წიგნს, ისე გართულა კითხვით, რომ ქვეყანა რომ დაინგრეს, ის ვერც კი შეამჩნევს.

აგერ მეორე კურსანტი, ხელში ფანქრით იწერს წიგნიდან რაღაც ცნობებს... აქ კიდევ კურსანტების ერთი ჯგუფი ხმა დაბლა ბაასობენ კომპლექსიურ მეთოდის გარშემო.

და ასე, ღამის 10—12 საათამდის, მანამ დაღლილ დაქანცულნი, მაგრამ სახე მოღიმარნი არ მიეცემიან დასვენებას, რომ განახლებული ენერგიით ისევ შეუდგენ მუშაობას.

ე. ხ—ლი.

## პარიზის კომუნის დღესასწაული მეოთხე ლეგიონში.

ამ დღეს დილიდანვე მშვენიერი დარი დაიკავა. ყაზარმები მორთული იყო პლაკატებით და ლოზუნგებით, რვა საათიდან ყველა ასეულებში დაიწყო საუბრები დღის მნიშვნელობაზე. საღამოს ხუთ საათზე გვესტუმრა გორის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. ქურდაძე.

მან პირველად დაათვალიერა ყველა ასეულების ყაზარმები, გაეცნო ჩვენს ცხოვრებას. შეგვპირდა მომავალში უფრო კარგ პირობებში მოგიხდებათ ცხოვრებაო და ყველა დეფექტები გამოსწორებული იქნება სამაზრო აღმასკომის მიერო. საღამოს შვიდ საათზე ლეგიონის კლუბში შესდგა ახალწვეულების, გორში მდგომ მე-4-ე ქართ. ლეგიონის წ.-არმ. და უფპოლიტ შემადგენლობის გაერთიანებული საზეიმო კრება.

კრება გახსნა ბიურო კოლექტივის მდივანმა ამხ. ქალიაშვილმა, რომელიც აცნობს წითელ არმიელებს ამხ. ქურდაძეს და აღნიშნავს, რომ ის არის ჩვენი ლეგიონის საპატიო წითელ არმიელი და ამავე დროს ლეგიონს უწევს მზრუნველობას და დიდი ღვაწლი მიუძღვის ლეგიონის ყოველ მხრივად უზრუნველყოფის საქმეში.

დღის მნიშვნელობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ქურდაძემ. ის შეეხო საფრანგეთის რევოლიუციას და ვრცლად აღნიშნა კომუნარების თავგანწირული ბრძოლა. მოხსენების შემდეგ სანამ შეკითხვები იქნებოდა, მომხსენებელი აცნობს საზეიმო კრებას ამხ. ლანცუცკის გასამართლებას. გვაცნობა პოლონეთის მთავრობის გადაწყვეტილება და მოხსენებების ირგვლივ შეკითხვების შემდეგ გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლიუცია, სადაც კრება მოითხოვდა ლანცუცკის განთავისუფლებას.

რემედასის მნიშვნელობაზე და მის კვირეულის ჩასატარებლად მოხსენება გააკეთა ამხ. მუქერიამ. მან აღნიშნა ცალ ცალკე სახელმწიფოებში საზოგადოებათა რაოდენობა და მოუწოდა კრებას, რათა ყველას, როგორც ერთს მიეღო მხურვალე მონაწილეობა მისი განტკიცების და გაძლიერების საქმეში.

საჩხკარი ჯღანკი.

## ჩვენი სოფელი და მისი მეურნეობა.

### ტყის კვირეული.

ამ ახლო ხანში ამიერ-კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების მაშტაბით უნდა ჩატარდეს ტყის კვირეული. ამ კამპანიას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს სატყეო მეურნეობისათვის.

ყოველი შეგნებული მოქალაქეს ვალია ხელი შეუწყოს ცხოვრებაში მის ღირსეულათ ჩატარებას.

ჩვენი ქვეყანა მდიდარია სხვა და სხვა ბუნებრივი სიმდიდრით.

ამ სიმდიდრეთა შორის მეტად თვალსაჩინო ადგილი უკავია ტყეებს, იმ ტყეებს, რომლებიც ისე უშნოთ და უპატრონოთ ნადგურდებიან „ტყის კონრტაბანდისტებისაგან“, ამ დარგში წესიერი მეურნეობის მოუწყობლობის გამო.

ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველ წლიურათ ტყე უმთავრესი შემოსავალთაგანია სახელმწიფო სალაროსი. ტყეს აწევს დიდი საპასუხისმგებლო როლი ქვეყნის ეკონომიურათ გაღონიერების საქმეში. რა საკვირველია თუ ის იქნება რაციონალურათ გამოყენებული და უცებ არ განადგურდება და არ მოისპობა უვარგის ხელმძღვანელების ხელში, რითაც დიდი ზარალი დაატყდება თავს, როგორც სახელმწიფოს, ისე ხალხს. პირველს ხელიდან გამოეცლება ის თანხა, რომელსაც ყოველწლიურათ იღებს მისი ექსპლოატაციით (დამუშავებით), ხოლო მეორე დაზარალდება მრავალ მხრივათ: წყალდიდობით, ქარებით, უშეშობით, უწყლობით გვალვიან წლეებში და ვინ იცის კიდევ რით.

კიდევ ვიმეორებ, რომ ტყე მრავალ მხრივ მნიშვნელოვანია სახელმწიფოსათვის არამც თუ როგორც შემოსავლის ერთ-ერთ წყაროთაგანი არამედ, როგორც ჰაერის გამაჯანსაღებელი, ჰავის გამაზომიერებელი, წყალდიდობის მომსპობი და სხვა.

ასეთი ფართოა ტყის მნიშვნელობა· მაგრამ ამაზე უფრო დაწვრილებით შემდეგში, ხოლო ეხლა კი სხვაზე ვილაპარაკოთ.

ჩვენი წითელ-არმიელების უმრავლესობა სოფლიდანაა მოსული. ისინი კარგად იცნობენ ტყეს, იმ ტყეს, რომელსაც ასე შეუგნებლათ ვანადგურებთ და ვსპობთ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამაში სოფლის გლეხს და მის შვილს არ უდევს ბრალი. აქ ყველაფერში დამნაშავეა უმეცრება და განუვითარებლობა.

ჩვენი ვალია მათ აუხსნათ ტყის მნიშვნელობა ყოველმხრივ, როგორც მოითხოვს საქმე.

წითელ-არმიელებმა ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღონ ტყის კვირეულში და პირად ლაპარაკში თუ წერილობითი მიმართვაში, აუხსნან თავის ძმებს, მამებს და მეზობლებს ტყის მნიშვნელობა და მისი მოვლის აუცილებლობა.

მ. დ.

## ამბები სოფლებიდან

**მებამბეობა.**

ბორჩალოს სამაზრო აღმასკომმა სას. სამ. კოოპერატივს გადასცა ერთი ნაკვეთი მიწა ბამბის სანერგეების მოსაწყობათ.

**უფასო წამლობა.**

ბორჩალოს აღმასკომმა დაადგინა ღარიბ გლეხებს უფასოთ მისცეს წამლეულობა.

**გორის აღმასკომმა**

ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებას დაავალა მაზრის მილიციისათვის შეიძინოს საზაფხულო ტანისამოსი.

— **სოფ. რუისის ბორანი** გორის აღმასკომმა გადასცა ადგილობრივ გლეხობას.

— **რაჭის** აღმასკომმა გადასწყვიტა სოფ. ამბროლაურში აგოს სას. სამეურნეო ტეხნიკუმი.

**სიღნაღის მაზრაში**

მოეწყო მებამბეობის სამაგალითო მეურნეობა.

**საბჭოთა უბანი.**

სოფ. ჩივაანთ უბნის (გორის მაზრა) მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს თავიანთ უბანს დაარქვან საბჭოთა უბანი.

## ახალი ამბები.

— მიწად მოქმ. სახ. კომისარიატმა გაზაფხულისათვის დასავლეთ საქართველოში მოაწყო სიმინდის ჩრჩილის საჩვენებელი წამლობა.

— **სამხედრო მაგიდების შენახვა.** ტფილისში არსებულ სამხედრო მაგიდების შესანახ თანხების გამოსაძებნათ ტფ. აღმასკომმა შეადგინა კომისია ამხ. გავაშელის, მესხის და მამულიას შემადგენლობით.

— **გამომცემლობათა აღრიცხვა.** საქ. განათლების სახ. კომისარიატმა დაადგინა საქ. სახელგამში აღრიცხოს ყველა არსებული გამომცემლობები.

აღრიცხვა დაიწყება ტფილისში 30 მარტს, მაზრებში —8 აპრილს.

— **სქესობრივი გამოკვლევა.** ამ დღეებში დაიწყება ტფილისის უმაღლეს და საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა სქესობრივ მდგომარეობის გამოკვლევა (ანკეტების შევსების საშუალებით.

— **გლეხთა სახლის დარაბები.** ტფ. აღმასკომმა დაადგინა გლეხთა ცენტრალურ სახლის ქვეშ მოთავსებული დარაბები მისცეს იმ ვაჭრებს, რომლებიც ივაჭრებენ ჩამოსულ გლეხებისათვის საჭირო საქონლით.

— ტფ. აღმასკომმა დაადგინა გააფართოოს თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოთა ინსტიტუტი და გადაიტანოს იგი ყოფ. თამბაქოს ქარხანა „კომეტას“ შენობაში.

— **წითელ არმიისა და ფლოტის სახლის** საჭიროებისათვის ტფ. აღმასკომმა დახმარების სახით გადასდო ყოველთვიურათ 300 მანეთი.

— **ტფილისის მცხოვრებთა რიცხვი.** ტფ. აღმასკომის სტატისტიკურ განყოფილების ცნობით მიმდინარე წლის დასაწყისში ტფილისში ითვლებოდა 274 ათასი მცხოვრები.

— **ტფილისის მაზრაში** არსებულ წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში ნოემბრიდან დღემდე ირიცხებოდა 7.191 კაცი, აქედან კურსი დაამთავრა 3952 კაცმა.

— **მთელ საქართველოში** არსებული სამკურნალო დაწესებულებებში ირიცხება 4.953 მუშა—მოსამსახურე.

— **დახმარება უმუშევრებს.** უმუშევარ დამზღვევი განყოფილება იწყებს უმუშევართათვის დახმარების გაცემას. 1 აპრილს უნდა გამოცხადდენ ის უმუშევრები, რომელთაც აქვთ წიგნაკი 1-800, 2 აპრილს—801-1300, 3 აპრილს—1301—1700, 4 აპრილს—1701—2100 და 6 აპრილს 2101 და მას ზევით, 7 აპრილს კი უნდა გამოცხადდენ ის უმუშევრები, რომლებიც გამოტოვებენ აღნიშნულ დღეებს.

## სამხედრო ტრიბუნალში.

### დეზერტირების გასამართლება.

21 მარტს ქართულ სამხედრო ტრიბუნალმა განიხილა 1-ლ ქართულ მსროლელ დივიზიის არტლეგიონის 1-ლ ბატარეიის წით. მოლ. სოლომონ დიმიტრის ძე ჩივაძის ბრალდების გამო ნაწილიდან დეზერტირობაში.

ბრალდებული ჩივაძე, როგორც დაბადებული 1902 წ. ყოფილა გაწვეული ს. ს. ს. რ. კომისარიატის მიმღებ კომისიის მიერ და დანიშნული. წ. წ. არტლეგიონის 1 ლ ბატარეიაში, სადაც ჩარიცხულა წ. წ. 13 ივნისიდან.

ნაწილში ბრალდებულ ჩივაძეს უმსახურია ორი დღე შემდეგ კი გაქცეულა და განაგრძობდა დეზერტირობას, სანამ არ იქმნა შეპყრობილი მანგლისის რაიონის სამხ. მაგიდის მიერ ა. წ. 12 იანვარს.

ბრალდებულმა იცნო თავი დამნაშავეთ და განაცხადა, რომ სახლში წავიდა მისთვის, რომ ენახა მშობლები და აგრეთვე თავისი საცოლე და დაბრუნება არ უნდოდა, რადგანაც არ იყო ქალაქში ცხოვრებაზე ნაჩვევი.

ტრიბუნალმა მიუსაჯა მას ჩივაძეს თავისუფლების აღკვეთა გამსახლში მოთავსებით ექვსი თვის ვადით და ქონების ნაწილის სავალდებულო კონფისკაცია 20 მანეთის ღირებულებით.

ამავე 21 მარტს სამხედრო ტრიბუნალმა განიხილა საქმე 1-ლ ქართულ ლეგიონის წით. მოლ. შალვა დავითის ძე მოშიაშვილის ბრალდების გამო დეზერტირობაში.

ბრალდებული მოშიაშვილი წასულა ნაწილიდან თავის ნებით და უფროსების ნება დაურთველათ ა. წ. 6 თებერვალს გამგზავრებულა მატარებლით გურჯაანში და ჩასვლისას სადგურ „გურჯაანის“ ადმინისტრაციის მიერ ყოფილა შეპყრობილი და გადმოგზავნილი ტფილისის საკომენდანტოში, სადაც მომხთარა კვლევძიება და ყოფილა მიცემული პასუხისგებაში.

ტრიბუნალმა მიუსაჯა მას მოშიაშვილს თავისუფლების აღკვეთა გამსახლში მოთავსებით 6 თვის ვადით და 5 მანეთის ქონების ნაწილის კონფისკაცია.

ზნია.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

,ნ .დ ს. ც.

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.